მრავლეტარეთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

КОМУНИСТИ

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 17 დეკემბერი, 1943 წ. № 259 (6884). ფასი 20 კაპ.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

15 დეკემბრის ოპერაციული ცნობა

15 დეკემბრის განმავლობაში ჩერკასის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც განაგრძობენ წარმატებითს შეტევას, ბრძოლებით დაიკავეს დიდი დასახლებული პუნქტები ზმიგაილოვკა, კრასნაია სლობოდა, ლესკი, ტალდიკი, ბოლშოი ბუზუკოვი, ნეჩაევკა, დუბანცი, ხუდოლეევკა, ტრუშევცი, სუბოტინი, ჩიმერევკა და რკინიგზის სადგური ბელოზერკა.

კიროვოგრადის მიმართულებით ჩვენი ჯარები, რომლებიც სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას და ქვეითი ჯარისა და ტანკების კონტრიერიშებს, განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც გაიუმჯობესეს პოზიციები.

მალინინის სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა მტერი განდევნეს რამდენიმე დასახლებული პუნქტიდან.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა და საარტილერიო-სანაღმმტყორცნო სროლაა.

14 დეკემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 108 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 50 თვითმფრინავი.

* * *

16 დეკემბრის ოპერაციული ცნობა

16 დეკემბრის განმავლობაში ჩერკასის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები და მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ვერბული, ჩერნიავკა, ნოვოსელიცი, რუბნეევკა.

კიროვოგრადის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების კონტრიერიშები და ბრძოლების მსვლელობაში დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი.

მალინინის სამხრეთით (რადომიშლის ჩრდილო-დასავლეთით) ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს დაკავებული პოზიციების გასაუმჯობესებლად და რამდენიმე დასახლებული პუნქტიდან განდევნეს მოწინააღმდეგე.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა და საარტილერიო-სანაღმმტყორცნო სროლაა.

15 დეკემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 87 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 100 თვითმფრინავი.

* * *

ჩერკასის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა დასძლიეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. ამ პუნქტებისათვის ბრძოლებში მოსპობილია 400-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაზიანებულია 4 ტანკი, თვითმავალი ქვემები და 9 სხვადასხვა ქვემეხი. წამოღებულია დოვლა, რომელშიც არის 45 ტყვიამფრქვევი და 10 ავტომანქანა. სხვა უბნებზე მოწინააღმდეგე ცდილობდა დაებრუნებინა ჩვენი ნაწილების მიერ გუშინ დაკავებული დასახლებული პუნქტი და კონტრიერიში მოიტანა. ჰიტლერელებს ძლიერი ცეცხლით შეხვდნენ და ისინი იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ.

ჩვენმა მფრინველებმა რკინიგზის სადგურ სმელაზე თავდასხმისას აფეთქეს მოწინააღმდეგის სამხედრო ეშელონი.

* * *

კიროვოგრადის მიმართულებით გერმანელებმა, რომლებიც ცდილობდნენ შეეჩერებინათ საბჭოთა ჯარების შეტევა, მთელი რიგი გაათრიგებული კონტრიერიშები მოიტანეს. ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის ტანკებისა და ქვეითი ჯარის კონტრიერიშები და ბრძოლებით დაიკავეს რამდენიმე ძლიერ გამაგრებული დასახლებული პუნქტი. გვარდიის 5 შენაერთის ნაწილებმა გაელიტეს მტრის 500-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. მოსპეს გერმანელთა 7 ტანკი და 2 ჯავშანტრანსპორტიორი. სხვა უბანზე გერმანელებმა კონტრიერიშზე გადმოიყვანეს 25 ტანკი და ერთი ბატალიონი ქვეითი ჯარი. საფარში მყოფმა ჩვენმა არტილერისტებმა და ტანკისტებმა ჰიტლერელები ახლო მანძილზე მოუშვეს და შემდეგ დაუშინეს ცეცხლი. ბრძოლის ველზე დარჩა გერმანელთა 9 დამწვარი და 6 დაზიანებული ტანკი. მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარი ჩვენი მსროლელების ცეცხლში მოხვდა და სწრაფად დაიხია პირვანდელ ზღვდეზე.

* * *

ქალაქ მალინის სამხრეთით (რადომიშლის ჩრდილო-დასავლეთით) 6 შენაერთის ნაწილებმა მოწინააღმდეგე განდევნეს რამდენიმე დასახლებული პუნქტიდან და გაიუმჯობესეს პოზიციები. გერმანელებმა არაერთხელ მოიტანეს კონტრიერიში, მაგრამ უკუქცეულ იქნენ. ამ ბრძოლაში მოსპობილია მტრის 800-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, 2 თვითმავალი ქვემეხი, 7 ჯავშანტრანსპორტიორი და რამდენიმე ექსპლუატაციი ნაღმსატყორცნი. სხვა უბანზე ჰიტლერელები ცდილობდნენ წყლის ზღვდეზე გადმოსვლას. არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლით მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარი გაფანტულ და ნაწილობრივ მოსპობილ იქნა.

* * *

შავ ზღვაში ჩაძირულია მოწინააღმდეგის ტანკერი 3.000 ტონა წყალწყვილა.

* * *

როვნოს ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა რამდენიმე პარტიზანულმა ჯგუფმა აიფეთქა რკინიგზის სამი ხიდი. ერთი კვირის შემდეგ გერმანელებმა აღადგინეს ერთი ხიდი, მაგრამ პარტიზანებმა კვლავ აიფეთქეს იგი, მოწინააღმდეგესთან ბრძოლებში საბჭოთა პატრიოტებმა 120-ზე მეტი ჰიტლერელი მოსპეს. კიეველ პარტიზანთა რაზმმა დანაღმა ეშტაკეცილის დიდი უბანი. ნაღმებზე აფეთქდა 8 სატვირთო და ერთი მსუბუქი ავტომანქანა. მოკლულია მტრის რამდენიმე ათეული ჯარისკაცი და ოფიცერი. მოკლულთა შორის აღმოჩენილია გერმანელი პოლკოვნიკის გვამი. მოკლეულ ნაცისტებმა ჰიტლერელებისა

სასამართლო პროცესი

ქალ. ხარკოვისა და ხარკოვის ოლქის ტერიტორიაზე მათი დროებითი ოკუპაციის პერიოდში გერმანელ ფაშისტი დამპყრობლების მიერ ჩადენილ მხეცობათა შესახებ

ხარკოვი, 15 დეკემბერი (საკუთრ.). დღეს ქალ. ხარკოვში უკრაინის მე-4 ფრონტის სამხედრო ტრიბუნალში იუსტიციის გენერალ-მაიორ ამხ. ა. ნ. მიასნიკოვის თავმჯდომარეობით და სახელმწიფო ბრალმდებლის—იუსტიციის პოლკოვნიკ ამხ. ნ. კ. დუნაევის მონაწილეობით დაიწყო ქალ. ხარკოვისა და ხარკოვის ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ოკუპაციის პერიოდში გერმანელ ფაშისტ დამპყრობლების მიერ ჩადენილ მხეცობათა საქმის გარჩევა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 19 აპრილის ბრძანებულებით გათვალისწინებულ დანაშაულში ბრალდების გამო ამ საქმეზე სამართალში მიცემული. არიან გერმანიის საიდუმლო საველე პოლიციის 560-ე ჯგუფის მოხელე დამხმარე პოლიციის უფროსი ეფრეიტორი რაინჰარდ რეცლავი, გერმანიის სამხედრო კონტრდაზვერვის ოფიცერი ვილჰელმ ლანგბეელდი, სს „სდ ზონდერკომანდის“ ასეულის მეთაურის მოადგილე სს უნტერშტურმფიურერი ჰანს რიცი და მათი ხელმძღვანელი, სამშობლოს მოღალატე ბულანოვი, რომელიც შოფრად მსახურობდა ხარკოვის, „სდ ზონდერკომანდში“.

სასამართლოს სხდომაში მონაწილეობს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა შემდეგი შემადგენლობით: სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის მთავარი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი, სასამართლო მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ამხ. ვ. ი. პროზოროვსკი, მოსკოვის მე-2 სამედიცინო ინსტიტუტის სასამართლო მედიცინის კათედრის პროფესორი ამხ. ვ. მ. სმოლიანინოვი, სასამართლო მედიცინის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ამხ. პ. ს. სემიონოვსკი, უკრაინის მე-2 ფრონტის მთავარი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი — სამედიცინო სამსახურის მაიორი ამხ. მ. პ. პრიტვოროვი, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი — სამედიცინო სამსახურის მაიორი ამხ. გ. ი. გოროდნიჩენკო და პათოლოგ-ანატომი, — სამედიცინო სამსახურის მაიორი ამხ. დ. ე. იაკაში.

ბრალდებულებს იცავენ სასამართლოს მიერ დანიშნული ადვოკატები — ამხ. ნ. ვ. კოროდოვი, ს. კ. კაზნაჩეევი და ნ. პ. ბელოვი.

თავმჯდომარე — იუსტიციის გენერალ-მაიორი ამხ. მიასნიკოვი გამოაკითხავს ბრალდებულებსა და მოწმეებს და აფრთხილებს მოწმეებს, რომ ისინი ვალდებულნ არიან სიმართლე უჩვენონ სასამართლოს. თავმჯდომარე აფრთხილებს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებს, რომ მათ სასამართლოს თავიანთი დასკვნები უნდა წარუდგინონ თავიანთი სპეციალური ცოდნის შესაბამისად. გასამართლებაზე დამსწრე თარჯიმანებს თავმჯდომარე აფრთხილებს, რომ ისინი ვალდებულნი არიან აბსოლუტური სიზუსტით გადათარგმნონ ყველა კითხვა და პასუხი.

მას შემდეგ, რაც ბრალდებულთა და მოწმეთა გამოკითხვა დამთავრებულია, სასამართლო აქვეყნებს საბრალდებო დასკვნას. საბრალდებო დასკვნა — იუსტიციის კაპიტანი ამხ. კანდიბინი.

საბრალდებო დასკვნა დაწერილებით გადმოგეცემა სრულიად უდანაშაულო საბჭოთა ადამიანების მასობრივი მკვლელობისა და წამების შემძაბრწუნებელი სურათს. ისინი ათასობით გაჟლეტეს გერმანელმა ფაშისტმა მტარვალებმა, რომლებმაც დროებით მოახდინეს ქალაქ ხარკოვისა და ხარკოვის ოლქის ოკუპაცია.

ქვემოთ მოგვყავს საბრალდებო დასკვნის ტექსტი.

საბრალდებო დასკვნა

ქ. ხარკოვსა და ხარკოვის ოლქში გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების მიერ ჩადენილ მხეცობათა საქმის გამო

რამდენადაც გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს ხარკოვის ოლქის ტერიტორიაზე ოკუპირებული ტერიტორიიდან, იმდენად მეტადვენდება სულ უფრო და უფრო მეტი ბოროტმოქმედება, რასაც გერმანიის არმიის ჯარები სჩადიან.

გერმანელ ფაშისტთაგან ქალაქ ხარკოვისა და ხარკოვის ოლქის განთავისუფლების შემდეგ გამოვლენილნ იქნა გერმანელების მიერ წმიდიდობიანი საბჭოთა მოქალაქეების, მათს შორის ქალების, მოხუცებისა და ბავშვების საშინელი ქლეტის მრავალრიცხოვანი ფაქტები.

გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა თავიანთი უფროსების ხელმძღვანელობით სპეციალურად მოწყობილ გაზის მანქანებში — „დუშეგუბკებში“ დაახრჩეს, ჩამოახრჩეს, დახვრიტეს და აწამეს მრავალ ათეულ ათასობით საბჭოთა ადამიანი, ბავშვებიანი, ქალებიანი, ბებერ-ბებერ ადამიანები, ავადმყოფები, ორსულები, ჩვილ ბავშვებიანი ქალები, ბავშვები

სასამართლო პროცესი

ქალ. ხარკოვისა და ხარკოვის ოლქის ფერიფორიაზე მათი დროებითი ოკუპაციის პერიოდში გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების მიერ ჩადენილ მხეცობათა შესახებ

(დასასრული)

ქალაქის ბინებიდან ამ მუშათა დაბაში გადასახლების დროს, როგორც აჩვენა ბრალდებულმა ბულანოვმა, საბჭოთა მოქალაქენი არაერთხელ გაუძარცვავთ და აბუჩად აუგდიათ გერმანელ ჯარისკაცებსა და გესტაპოთანამშრომლებს.

მას შემდეგ, რაც ყველა გადასახლებული ბარაკებში მოათავსეს, გერმანელებმა იწყეს ჯგუფების შედგენა, თითოეულისა 200-300 კაცისაგან; ამ ჯგუფებში შედიოდნენ აგრეთვე მოზარდები, ბავშვები და მოხუცები. მერე ისინი, ვითომც მათ ღრმა ზურგში გზავნიდნენ, მიჰყავდათ ხარკოვის სატრანზიტო ქარხნის მუშათა ქალაქიდან 4-5 კილომეტრზე მდებარე ხევში, სადაც ხვრეტდნენ წინასწარ მომზადებულ დიდ ორმოებთან.

1941 წლის დეკემბერში გესტაპოელებმა დახვრიტეს 900 საბჭოთა მოქალაქე, რომლებიც ხარკოვის საავადმყოფოში იწვნენ სამკურნალოდ. მათ შორის იყო ბევრი ბავშვი და მოხუცი. ისინი დახვრეტილ იქნენ ქალაქ ხარკოვიდან 4-5 კილომეტრზე, ჩუგუევისაკენ მიმავალი გზის მახლობლად. გვამები გაიკოლ ორი დიდი ორმო, რომლებიც ამ მიზნისათვის წინასწარ იყო მომზადებული.

ბრალდებულმა ბულანოვმა, ამ დახვრეტების მონაწილემ, აჩვენა:

„მე წინადადება მომცეს სამტონიანი მანქანით წავესულიყავ საავადმყოფოში, რომელიც ქალაქ ხარკოვის განაპირა უბანში მდებარეობდა. იქ უკვე იყო სხვა მანქანებიც. როგორც კი ჩემი მანქანა საავადმყოფოს ერთ-ერთი ყორეს საპარადო შესასვლელთან დავაყენე, გესტაპოელებმა იწყეს მარტო თეთრეულჩაცმულ ავადმყოფთა გამოყვანა და მანქანის ძარაში ჩაყრა. თითოეულ მანქანაში 40-მდე კაცს ათავსებდნენ.

ჩემი მანქანის დატვირთვის შემდეგ მე ისინი წავიყვანე დახვრეტის ადგილისაკენ, რომელიც გარშემორტყმული იყო გესტაპოელებით.

იქ ავადმყოფებს მანქანებიდან ამოათრევდნენ ხოლმე და ორმოსთან აყენებდნენ. განტვირთვის ადგილას ისმოდა მოზრდილთა და ბავშვთა გულშემზარავი ტირილი, გოდება. ავადმყოფნი მუდარით თხოვდნენ შებრალებას, მაგრამ გესტაპოელები ამას ყურადღებას არ აქცევდნენ, ხვრეტდნენ ყველას და შემდეგ ორმოში ჩყრიდნენ.

რამდენადაც მახსოვს, განსაკუთრებული მხეცობით განირჩეოდნენ—გესტაპოს თარჯიმანი ჰანს ბერგი და მედფერშალი ალექსი. ორივე წინააღმდეგობის გამწევეთ დარტყმით წაქცევდნენ, ჩყრიდნენ ორმოში და შემდეგ ხვრეტდნენ.

მე ვხედავდი, რომ ზოგიერთი წინააღმდეგობის გამწევი, ორმოში ჩაგდებული, ხხოლოდ დაჭრილი და გასისხლიანებული, ცდილობდა ფეხზე ადგომის. მათ კვლავ წაქცევდნენ ხოლმე და შემდეგ, ამ ბოროტმოქმედების მონაწილის — გესტაპოს შეფის და თარჯიმანის ჰანს ბერგის ბრძანებით მიწას აყრიდნენ ჯერ კიდევ ცოცხლებს. ორმოში ცოცხლად ჩამარხულთა შორის ბევრი იყო მოზარდი და ბავშვი“.

(ტ. II, ს. ფ. 255-256).

ტყეპარკე, რომელიც მდებარეობს დაბა სოკოლნიკის რაიონში, ქალაქ ხარკოვის განაპირა უბანში, დაფარულია საფლავების მჭიდრო ქსელით. სადაც დამარხულნი არიან გერმანელ ფაშისტთა ტერორის მსხვერპლნი.

ასწერენ რა ტყეპარკში საბჭოთა ადამიანების დახვრეტის საშინელ სურათს, მოწმენი ალექსანდრე ფილიპეს-ძე ბესპალოვი და დარია ვასილის-ასული დანილენკო, რომელნიც დაბა სოკოლნიკში ცხოვრობენ და გერმანელთა

III.

საერთაშორისო უფლებრივი ნორმები კრძალავენ სამხედრო ტყვეებისადმი სასტიკ მოპყრობას.

სამხედრო ტყვეები — დაჭრილნი და ავადმყოფნი — ამ საერთაშორისო დებულებათა თანახმად დაცული უნდა იყვნენ მიომარი მხარის მიერ, რომლის ძალა-უფლებაში ისინი აღმოჩნდებიან.

მაგრამ გერმანელი ფაშისტი ავადაკები, თეოდორ სოელაენერ რა ყოველგვარ საერთაშორისო უფლებრივ ნორმებს, სისტემატურად სპობდნენ და სპობენ საბჭოთა დაჭრილ სამხედრო ტყვეებს.

უფრო მეტი. სამხედრო ტყვეთა ბანაკებში გერმანიის სამხედრო სარდლობა ათავსებს მშვიდობიან საბჭოთა მოქალაქეებს, რომლებიც შეპყრობილნი არიან საბჭოთა კავშირის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე და რომლებსაც იგი სამხედრო ტყვეებად სთვლის.

ასე, მოწმემ, გერმანიის არმიის ფელდფებელმა ჰაინც იანჩიმ კონტრდაზვერვის ოფიცერთან ერთად, მყოფმა თანამშრომელმა სამხედრო ტყვეთა იმ ბანაკში, რომელსაც „დულაგ-231“ ეწოდებოდა, აჩვენა:

„ბარდა საბჭოთა სამხედრო ტყვეებისა, გერმანიის სამხედრო ტყვეთა ბანაკ „დულაგ-231“-ში იყვნენ აგრეთვე მშვიდობიანი მოქალაქენი, რომლებიც საბჭოთა კავშირის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჩაიგდეს ხელთ და რომლებსაც გერმანიის სარდლობა სამხედრო ტყვეებად სთვლის. ამ მშვიდობიან მცხოვრებთა შორის იყვნენ მოხუცები, ქალები და ბავშვები.

მე ვიცი, რომ გერმანიის ჯარების მიერ ოკუპირებული საბჭოთა ოლქების მშვიდობიანი სამოქალაქო მოსახლეობის შემადგენლობიდან ტყვეებად გარეკილი პირნი იყვნენ არა მარტო ჩვენს ბანაკში, არამედ გერმანიის სხვა ბანაკებშიც, რომლებსაც ოფიციალურად სამხედრო ტყვეთა ბანაკები წოდება.

მშვიდობიან საბჭოთა მოქალაქეებს სამხედრო ტყვეთა ბანაკებში ათავსებენ მოსახლეობის ეეაკუაციის საბაბით. სხვა შემთხვევებში — გერმანიაში გასაგზავნად მუშაობის შეგროვების საბაბით და, დასასრულ, არასასურველი ელემენტის იზოლაციის მიზნით, მათ შორის ბავშვებსა და მოზარდებს, როგორც ანტიგერმანული სამხედრო ნაწილების პოტენციალურ მებრძოლებს“.

(ტ. III, ს. ფ. 38-39).

საბჭოთა სამხედრო ტყვეების, ავადმყოფების, დაჭრილებისა და სამოქალაქო მოსახლეობის მოსპობის მიზნით, გერმანელებმა აუტანელი პირობები შეუქმნეს ჰოსპიტლებში ავადმყოფთა და დაჭრილთა, ხოლო ბანაკებში სამხედრო ტყვეთა და მშვიდობიან მოქალაქეთა შენახვისა. მათ შიმშილით ხოცავდნენ, სამედიცინო დახმარებას არ უწევდნენ და მეტისმეტი შექუჩულობითა და ელემენტარული სანიტარული პირობების დაუცველობით მათ შორის იწვევდნენ მასობრივ ეპიდემიურ დაავადებას, რასაც შედეგად მოსდევდა დიდი სიკვდილიანობა.

უმიზეზოდ და „ბრალდების მასალათა“ ხელოვნურად შექმნით გერმანელები ხვრეტდნენ და ცოცხლად სწვავდნენ დაჭრილებსა და სამხედრო ტყვეებს, ამასთან წინასწარ აშამებდნენ და შეურაცხყოფდნენ მათ, ძაღლებსაც ეი უსვამდნენ.

გერმანელთა ყველა ეს ბოროტმოქმედება დადასტურებულია ბრალდებულების **რიცის**, ლანგჰელდის და მოწმეებისა: გერმანელ ჰაინც იანჩის, პროფესორ ე. ს. კატკოვის, ექიმ გ. ზ. ჯინეველაძის, სამედიცინო დის ვ. ა. სოკოლსკაიას, მ. ა. კოზლოვას და სხვათა ჩვენებით, აგრეთვე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის აქტებით.

გერმანიის ბანაკებში საბჭოთა სამხედრო ტყვეებისა და მშვიდობიანი მოქალაქეების მხეცური წამების შესახებ ჩვენება მისცა ამ საქმეში ბრალდებულმა, გერმანიის არმიის კაპიტანმა ლანგჰელდმაც, რომელიც ყველა ამ ჭეშმარიტებისა და წამების უშუალო მონაწილე იყო.

მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედების მნახველნი არიან, აჩვენებენ, რომ 1942-1943 წლების მანძილზე გერმანელ ფაშისტებს ტყეპარკში თითქმის ყოველდღე მიჰყავდათ რამდენიმე მანქანით სასიკვდილოდ განწირული ადამიანები და აქ მათ შეურაცხყოფდნენ, აწამებდნენ და ხვრეტდნენ. ზოგიერთი შეპყრობილთაგანი ეკვეთებოდა გერმანელებს, მაგრამ მას წაქცევდნენ ხოლმე, ხიშტებით გმირავდნენ, ფეხებითა და შაშხანის კონდახებით სცემდნენ.

ტყეში გაისმოდა მომაკვდავთა გულშემზარავი ყვირილი და კვნესა. სჩანდა, თუ სიკვდილს წინ როგორ იკრუნჩხებოდნენ სულთმობრძავი ცალკეული ადამიანები და ასეთ მდგომარეობაში ჩყრიდნენ მათ ორმოებში გერმანელი ჯალათები.

ერთ-ერთი ასეთი მხეცური გაელეტის სურათი მოწმე **ბესპალოვმა** შემდეგნაირად დახატა:

„გასული წლის ივნისის დამლევს მე პირადად ვნახე, თუ როგორ მოიყვანეს ტყეპარკში 10-12 სატვირთო ავტომანქანით 300-მდე ქალიშვილი და ქალი.

საკოდავნი თავზარდაცემულნი აქეთ-იქით აწყდებოდნენ, ტიროდნენ, თმასა და ტანისამოსს იგლეჯდნენ, ბევრს გული მისდიოდა, მაგრამ გერმანელი ფაშისტები ამას ყურადღებას არ აქცევდნენ. წიხლის, კონდახებისა და ჯოხების ცემით აიძულებდნენ მათ წამომდგარიყვნენ, ხოლო იმათ, ვინც ფეხზე ვეღარ დგებოდა, ჯალათები თვითონ ჩამოგლეჯდნენ ხოლმე ტანისამოსს და ორმოში ჩყრიდნენ. რამდენიმე ქალიშვილმა, რომლებთანაც ბავშვები იყვნენ, გაქცევა სცადა, მაგრამ მოკლულ იქნენ.

მე ვხედავდი, როგორ მიდიოდა ავტომატის ჯერის შემდეგ ზოგიერთი ქალი, ბარაკითა და ხელების უმწეო ქნევით, გულშემზარავი კივილით იქვი მდგომ გერმანელებისაკენ. ამ დროს გერმანელები მათ რეოლვერებით ხვრეტდნენ... შიშისა და მწუხარებისაგან გაგიჟებული დედები გულში იკრავდნენ შვილებს. საშინელი გოდებით დარბოდნენ მინდორში და ხსნას ეძებდნენ.

გესტაპოელები მათ გამოსტაცებდნენ ხოლმე ბავშვებს, ფეხებში ან ხელებში სწვდებოდნენ და ცოცხლებს ისროდნენ ორმოში, ხოლო როცა დედები თავიანთ შვილებს დაედევნებოდნენ ორმოსაკენ, მათ ხერეტდნენ“.

(ტ. III, ს. ფ. 162-163).

დაადასტურა რა ტყეპარკში საბჭოთა ადამიანების მასობრივი დახვრეტის ფაქტები, მოწმე **დანილენკომ** აჩვენა:

„1943 წლის იანვრის დამლევს გერმანელები იმავე ადგილას ორი დღის განმავლობაში ისევ ხვრეტდნენ საბჭოთა მოქალაქეებს. ამ საშინელ ორ დღეს ტყეში ისმოდა სროლა და ადამიანთა არაჩვეულებრივი ყვირილი. ისმოდა მამაკაცთა, ქალთა და ბავშვთა ხმები.

1943 წლის გაზაფხულზე, როცა თოვლი დადნა და ორმოებზე მიყრილმა მიწამ დაიწია, მე სხვა მცხოვრებლებთან ერთად დავდიოდი ორმოების ამოსავსებად. როცა იმ ადგილს მივედი, სადაც ჩვენი საბჭოთა მოქალაქენი დახვრიტეს, ვნახე, რომ ორივე ორმო სავსე იყო დახვრეტილთა გვამებით. მიწის მცირე ფენიდან სჩანდა ადამიანთა გამოშვერილი შიშველი ხელები და თეძოები“.

(ტ. III, ს. ფ. 152).

ლანგჰელდმა აჩვენა:

„მხეცობანი, რასაც სჩადიოდნენ გერმანელი ოფიცრები და ჯარისკაცები და მათ შორის მეც რუსი ადამიანების მიმართ, მათი ისეთი საშუალებებით ბასაყლეტად, როგორიცაა შიმშილით საკვდილი, დაუძლურებულ ადამიანთა ფიზიკური ცემა, დახვრეტა, ძაღლების მისევა და სხვა, შეესაბამებოდა გერმანიის მთავრობის მიზანდასახულობას რუს ადამიანთა მიმართ...

ჩემი ბრძანებით ადამიანები არაერთხელ დაუხვრეტიათ.

ასე, მაგალითად, 1942 წლის მაის-ივნისში დერგაჩში, ხარკოვის მახლობლად, ჩემი ბრძანებით დახვრეტილ იქნა რუსი სამხედრო ტყვეების ჯგუფი, დაახლოებით 20 კაცი, რომლებსაც ბრალად ედებოდათ ადგილობრივ მოსახლეობასთან კავშირი... მე უნდა გიჩვენებდეთ, რომ ბრალდება ამ შემთხვევაში პროვოცირებული იყო, ვინაიდან ადამიანები ნამდვილად მხლოდ იმისათვის იქნენ გაელეტილნი, რომ ისინი რუსები იყვნენ.

რუსი ოფიცრების ჯგუფის დახვრეტის სხვა შემთხვევა მოხდა სამხედრო ტყვეთა ვოდასაზავან პუნქტში 1941 წლის შემოდგომაზე.

მე შევარჩიე საშუალო თანამდებობის 10 რუსი ოფიცერი და ვუბრძანე ჯარისკაცებს ყველა სამხედრო ტყვის თვალწინ დახვრიტათ ისინი ავტომატებით. დახვრეტილთა გვამები წინასწარ გამზადებულ ორმოებში ჩაჰყარეს.

როგორც წესი, რუსები სამხედრო საიდუმლოებას არ ამხელდნენ. ამასთან დაკავშირებით მე მათ ვცემდი 4-5 სმ სიმსხო ჯოხით, რის შედეგ ხშირად საჭირო ხდებოდა დაკითხულთა გატანა ჩემი კაბინეტიდან. სამხედრო ტყვეების ცემა გერმანიის არმიის ყველა ნაწილშია შემოღებული. ნაწამებ და მშიერ ადამიანთა ბრბოს მცირე საქმლის დარიგებასს მობადრაგე ჯარისკაცები ძაღლებს უსვამდნენ. ძაღლები შეიჭრებოდნენ ხოლმე ბრბოში, ნაფლეთ-ნაფლეთად გლეჯდნენ ტყვეების ტანისამოსსა და სხეულს, ზოგ მათგანს წაქცევდნენ და სთელავდნენ, ჰიწაზე ჯიჯგნიდნენ. ზოგიერთ დაგლეჯილ და ნახევრადცოცხალ სამხედრო ტყვეთა და სამოქალაქო პირს ჯარისკაცნი ხვრეტდნენ და ბრძანებდნენ გადაეგდოთ ისინი ზღუდეზე, რომ მათი მკურნალობით თავი არ შეეწუხებინათ“.

(ტ. II, ს. ფ. 194-195, 211).

1943 წლის მარტში გერმანელებმა დახვრიტეს და დასწვეს წითელი არმიის 800 დაჭრილი მებრძოლი და ოფიცერი, ოდესელიც მთ ტყვედ ჩაიგდეს და 69-ე არმიის 1-ლ საარმიო მთავარსამსახურებელ ჰოსპიტალში იწვნენ სამკურნალოდ; ეს ჰოსპიტალი მოთავსებული იყო ქალაქ ხარკოვში, ტრინკლერის ქუჩაზე.

ასწერენ რა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ამ ბოროტმოქმედების გარემოებებს, მოწმენი პროფესორი კატკოვი, ექიმი ჯინეველაძე და მედდა სოკოლსკაია, რომელნიც მაშინ ჰოსპიტალში მუშაობდნენ, აჩვენებენ, რომ 1943 წლის 13 მარტს ჰოსპიტალს მოადგა 3 ავტომანქანა. მანქანებში ისხდნენ დიდებია „ადოლფ ჰიტლერის“ „სს“-ელები, რომლებმაც დახოცეს მე-8 კორპუსის კარი და ცოცხლებიანი ყუმბარა ესროლეს მას. კორპუსს ცეცხლი მოეკიდა. სიკვდილისაგან რომ თავი დაეხსნათ, კორპუსში მყოფი დაჭრილნი ცოცხლმოდგმული შენობის ფანჯრებიდან ხტებოდნენ, მაგრამ აქ „სს“-ელები ავტომატებით ხვრეტდნენ მათ.

მეორე დღეს „სს“-ელთა ჯგუფი, 9 კაცი, კვლავ გამოცხადდა ამ ჰოსპიტალში. პალატიდან გამორეკა მედპერსონალი და დახვრიტა ყველა დანარჩენი დაჭრილი, რომლებიც ჰოსპიტალის სხვა კორპუსებში იყვნენ.

მოწმე მარიამ ალიქსანდრეს-ასულმა, კოზლოვამ, რომლის ქმარი მხეცურად იქნა მოკლული ჰიტლერელთა მიერ მოწყობილ ამ სისხლისღვრის დროს, აჩვენა:

„მოქმედ წითელ არმიაში ყოფნისას ჩემი ქმარი დაიჭრა და სამკურნალოდ მოთავსებულ იქნა 1-ლ საარმიო ჰოსპიტალში, რომელიც მაშინ ქალაქ ხარკოვში იმყოფებოდა. 15 მარტს გადავწყვიტე მისთვის მოსაკითხი წამეღო. ჰოსპიტლის განლაგების ადგილას რომ მივედი, ერთბაშად ვერ მიეხვედი, რომ ეს სწორედ ის ჰოსპიტალია, რომელშიც სამკურნალოდ ჩემი ქმარი იწვა.

შემაძრწუნებელი სურათი გადაეშალა ჩემ თვალწინ. ყველგან ნანგრევთა გროვა იყო, მთელ ტერიტორიაზე ეყარა დამწვარი და მზეცური წამებით დახოცილი საბჭოთა მოქალაქეების გვამები. საშინელი ბოროტმოქმედება რომ დავინახე, თავდაეწყვეთით გავიქეცი ცეცხლისაგან გადარჩენილ მე-4 კორპუსისაკენ. საშინელებამ მოიცვა, რაც პირველ პალატაში შევედი. იქ ეყარა გვამების გროვა, რომლებიც ისე იყვნენ დასახიჩრებულნი, რომ ვერ იცნობდი. გონებადაკარგული მივვარდი ქმრის სა-

IV.

ამრიგად დადასტურებულია, რომ მასობრივ მკვლელობათა და ბოროტმოქმედებათა-თვის, რომლებიც გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა ჩაიდინეს ქალაქ ხარკოვისა და ხარკოვის ოლქის დროებითი ოკუპაციის პერიოდში, მშვიდობიანი მოსახლეობის წამებისა და მასობრივი განადგურებისათვის, დახვრეტისათვის და ნახშირბადის ქვეშეგნით სპეციალურად მოწყობილ ავტომანქანებში — „დუშეგუბკებში“ დახოცვისათვის, სრულიად უდანაშაულო საბჭოთა მოქალაქეების, მათ შორის ქალებისა, მოხუცებისა და ბავშვების დაწვისათვის და სხვა სახით მოსპობისათვის სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ გერმანიის უაღრესი ფაშისტური მთავრობისა და გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ხელმძღვანელებს.

დადასტურებულია აგრეთვე, რომ იმ დანაშაულებებში, რომლებიც ამ საქმის გარჩევის ობიექტს წარმოადგენენ და კონკრეტულად მოხსენებული არიან ზემოთ, უშუალო მონაწილეობას იღებდნენ გერმანელთა ჯარების, საპოლიციო და სადამსჯელო ორგანიზაციათა ქვემოდასახელებული მეთაურები და უფროსები:

1. სს დივიზიის — „ადოლფ ჰიტლერის“ მეთაური, ობერგრუპენფიურერი დიტრიხი;

2. სს დივიზიის — „მკვდარი თავის“ მეთაური, სს ჯარების გრუპენფიურერი სიმონი;

3 ხარკოვის „სდ ზონდერკომანდის“ უფროსი, შტურმბანფიურერი ჰანგბიტერი;

4. გერმანელთა საიდუმლო საველე პოლიციის ქალაქ ხარკოვის ჯგუფის უფროსი, პოლიციის კომისარი კგრეხანი;

5. გერმანელთა მე-6 არმიასთან არსებულ გუპ-ს 560-ე ჯგუფის უფროსი, პოლიციის კომისარი მერიეი;

5. გერმანელთა საიდუმლო საველე პოლიციის ქალაქ ხარკოვის ჯგუფის უფროსის მოადგილე, პოლიციის მდივანი ვულფი.

ყველა ზემოდასახელებული პირის დანაშაულობა იმ მოქმედებაში, რომელიც მათ მიეწერებათ, სავსებით დამტკიცებულია წარმოებული გამოძიებით, რის ძალითაც ყველა ისინი სსრკ სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად, სისხლის სამართლის პასუხისგებაში არიან მისაცემნი იმ დანაშაულებათათვის, რომლებიც მათ ჩაიდინეს საბჭოთა მოქალაქეების მიმართ საბჭოთა ტერიტორიაზე.

ამათთან თანაბრად ყველა ამ მხეცურ ბოროტმოქმედებაში დამნაშავენი არიან დანაშაულის მონაწილენი, ამ საქმეში ბრალდებულნი, გერმანიის არმიის სამხედრო, საპოლიციო, სადაზვერვო და სადამსჯელო ორგანოთა თანამშრომლები — რაინჰარდ რეცლავი, ჰანს რიცი, ვილჰელმ ლანგჰელდი, აგრეთვე მათი ხელშეწყობი, სამშობლოს მოღალატე მიხეილ ბულანოვი.

დასახელებულ პირთა კონკრეტული დანაშაულებრივი მოქმედება გამოიხატა შემდეგში:

რაინჰარდ რეცლავი, იყო რა ქალაქ ხარკოვში გერმანელთა საიდუმლო პოლიციის მოხელედ, გამოძიებას აწარმოებდა მთელი რიგი დაპატიმრებული საბჭოთა მოქალაქეების საქმეებზე, არაადამიანური წამებითა და ტანჯვით გამოძალვით ართმევდა მათ ჩვენებებს და მათ წინააღმდეგ ყალბად ჰქმნიდა განზრახ ხელოვნურ ბრალდებებს.

შეადგინა განზრახ გამოგონებული დასკვნები იმის შესახებ, რომ სამი დაპატიმრებული ვითომც ფამატყდა ანტიგერმანულ მოღალეობაში, და განზრახ ჩასწერა ამ დასკვნებში 25 კაცი — ხარკოვის სატრანზიტო ქარხნისა და ხარკოვის ელექტროსადგურის მუშები.

ბრალდებულ იქნენ და შემდეგ 15 მათგანი დახვრიტეს, 10 კი მოკლეს „დუშეგუბკაში“.

არაერთხელ პირადად თვითონ სსამდა „დუშეგუბკაში“ საბჭოთა მოქალაქეებს და ამრიგად კიდევ მოჰკლა 40-მდე კაცი.

აცილებდა რა „დუშეგუბკას“ მისი დაცლის ადგილამდე ხარკოვის სატრანზიტო ქარხნის ტერიტორიაზე, უშუალო მონაწილეობას იღებდა დახარჩობილთა გვამების დაწვაში.

ჰანს რიცი, იყო რა ხარკოვის „სდ ზონდერკომანდის“ სს ასეულის მეთაურის მოადგილე, მონაწილეობას იღებდა მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქეების წამებასა და დახვრეტაში.

1943 წლის ივნისში მონაწილეობდა სრულიად უდანაშაულო საბჭოთა ადამიანების დახვრეტაში სოფელ პოდვორკის რაიონში, ხარკოვის მახლობლად.

მონაწილეობდა „სდ ზონდერკომანდის“ მიერ დაპატიმრებულთა დაკითხვებში.

პირადად სცემდა მათ ჯოხებითა და რეზინის ჯოხებით და ცდილობდა მიეღო მათგან ბრალმდებელი ჩვენებები.

საბჭოთა მოქალაქეების წინააღმდეგ ადგენდა მთელ რიგ ყალბ ხელოვნურად შექმნილ საქმეებს, რომლების გამოც დახვრეტილ იქნა 100-მდე კაცი.

მიხეილ პეტრეს-ძე ბულანოვი, უოლატარა სამშობლოს, გადავიდა გერმანელების მხარეზე, შეედგა მათთან სამსახურში გესტაპოს ხარკოვის განყოფილების შოფერის თანამდებობაზე.

მონაწილეობას იღებდა საბჭოთა ადამიანების მასობრივ „დუშეგუბკაში“ მათი დახარჩობის გზით.

დასახვრეტად მიჰყავდა მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქენი.

მონაწილეობას იღებდა 60 კაცისაგან შემდგარ ბაზმთა ჯგუფის დახვრეტაში.

ამ საქმეში ყველა ბრალდებულმა, სახელდობრ:

რ. რეცლავმა, ჰ. რიცმა, ვ. ლანგჰელდმა და **მ. პ. ბულანოვმა** დამნაშავეებად სცნეს თავი მათთვის წაყენებულ ბრალდებაში და დაწერილებითი ჩვენება მისცეს თავიანთი დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ.

აღნიშნულის საფუძველზე **ბრალად ედებათ:**

რაინჰარდ **რეცლავს**, 1907 წ. დაბადებულს, ქალ. ბერლინის მცხოვრებს, საშუალო განათლების მქონეს, ქალაქ ხარკოვის გერმანელთა საიდუმლო საველე პოლიციის მოხელეს, დამსმარე პოლიციის უფროს ეფრეიტორს.

ჰანს **რიცს**, 1919 წ. დაბადებულს, ქალ. მარიენვერდერის (გერმანია) მცხოვრებს, გერმანელს, უმაღლესი განათლების მქონეს, ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წევრს 1937 წლიდან, სს ასეულის მეთაურის მოადგილეს, სს უნტერშტურმფიურერს.

ვილჰელმ **ლანგჰელდს**, 1891 წ. დაბადებულს, ქალ. მაინის ფრანკფურტის მცხოვრებს, გერმანელს, ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წევრს 1933 წლიდან, გერმანიის არმიის სამხედრო კონტრდაზვერვის ოფიცერს, კაპიტანს,— ის, რომ:

იყვნენ რა გერმანიის არმიის სამხედრო მოსამსახურენი, 1941-1943 წლებში უშუალო მონაწილეობას იღებდნენ მშვიდობიანი საბჭოთა ადამიანების მასობრივ და მხეცურ ჟლეტაში სპეციალურად მოწყობილი ავტომანქანებია, ეგრეთწოდებული „დუშეგუბკების“ გამოყენების საშუალებით, აგრეთვე ის, რომ პირადად მონაწილეობდნენ საბჭოთა ადამიანების მასობრივ დახვრეტაში, ჩამორჩობაში, დაწვაში, ძარცვასა და შეურაცხყოფაში,—

ე. ი. დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 19 აპრილის ბრძანებულებით.

მიხეილ **პეტრეს-ძე ბულანოვს**, 1917 წლ. დაბადებულს, ყაზახეთის სს რესპუბლიკის სადგურ ჯანიბეკის მცხოვრებს, რუსს, უპარტიოს, ის, რომ:

უოლატარა რა **სამშობლოს**, ნებაყოფლობით გადავიდა გერმანელთა მხარეზე და შეედგა გერმანიის სადამსჯელო ორგანოების სამსახურში.

გერმანელებთან ერთად უშუალო მონაწილეობას იღებდა საბჭოთა ადამიანების მასობრივ მოსპობაში „დუშეგუბკებით“ მათი დახარჩობის გზით.

პირადად ხვრეტდა საბჭოთა მოქალაქეებს, მათ შორის მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს,—

ე. ი. დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 19 აპრილის ბრძანებულებით.

აღნიშნულის გამო, ზემოჩამოთვლილი პირნი გასამართლებულ უნდა იქნან სამხედრო ტრიბუნალის მიერ.

საბრალდებო დასკვნა შედგენილია 1943 წ. 11 დეკემბერს.

☆ ☆ ☆

სასამართლოში საბრალდებო დასკვნისა და გერმანულ ენაზე მისი თარგმანის გამოქვეყნების შემდეგ ყველა ბრალდებულმა, თავმჯდომარის შეკითხვის პასუხად განაცხადა, რომ ისინი სავსებით სცნობენ თავს დამნაშავედ მათთვის წაყენებულ ბრალდებებში.

• • •

ხარკოვი, 15 დეკემბერი (საკდესი). დღეს უკრაინის მე-4 ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა დაიწყო ქალაქ ხარკოვისა და ხარკოვის ოლქის ტერიტორიაზე მათი დროებითი ოკუპაციის პერიოდში გერმანელ ფაშისტი დამპყრობლების მიერ ჩადენილ მხეცობათა საქმის გარჩევა.

ხალხით გაჭედილ დარბაზში არიან ასობით მშრომელნი: მუშები, კოლმეურნენი, ინტელიგენციის წარმომადგენელნი, წითელი არმიის მებრძოლები, ოფიცრები და გენერლები. ბევრი მათგანნი საბჭოთა ადამიანების მასობრივი ჟლეტის მხეცური გერმანულ-ფაშისტური სისტემის ცოცხალი მოწმე იყო. ზოგიერთებმა დაკარგეს თავისიანები და მახლობლები, რომლებიც ჰიტლერელი ავაზაკების ხელით დაიღუპნენ, ზოგნი კინოდან დაიღუპნენ და მხოლოდ სასწაულით გადარჩნენ. ზოგნი გერმანელთა ულღმა ნაღრეგად დაბერა, მოშალა მათი ჯანმრთელობა, ინვალიდებად გადაქცია, უსაბერკოდ დასტოვა. ბევრი მწუხარება და დამცირება განიცადეს მათ გერმანელთა ოკუპაციის ორი წლის განმავლობაში, და ყოველდღე ამ ორი საშინელი წლის განმავლობაში ისინი სამგიერის მიზღვის ყიმზე ფიქრობდნენ.

ეს ყმაი დადგა. დღეს ისინი საბრალდებულო სკამზე ხედავენ თავიანთ საზიზღარ ჯალათებს. დამნაშავენი პასუხს აგებენ საბჭოთა სასამართლოს წინაშე.

სასამართლოს თავმჯდომარეობს იუსტიციის გენერალ-მაიორი ამხ. ა. ნ. მიასნიკოვი, სასამართლოს წევრებად არიან — იუსტიციის პოლკოვნიკი ამხ. ი. ა. ხარჩევი და იუსტიციის მაიორი ამხ. ს. ს. ზაპოლსკი.

ბრალდებულთა მოკლე გამოკითხვის შემდეგ, რომელიც არკვევს მათს ვინაობას, თავმჯდომარე აფრთხილებს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებს, რომ მათ თავიანთი დასკვნები უნდა წარმოდგინონ თავიანთი სპეციალური ცოდნის შესაბამისად.

თავმჯდომარე აფრთხილებს სასამართლოში მყოფ თარჯიმნებს, რომ ისინი ვალდებული არიან ამსოლუტური სიზუსტით გადათარგმნონ ყველა კითხვა და პასუხი.

ამის შემდეგ სასამართლო იწყებს საბრალდებო დასკვნის გამოქვეყნებას.

როცა გამოქვეყნდა საბრალდებო დასკვნა, რომელსაც, მთელი დარბაზი დაძაბული ყურადღებით ისმენს, და საბრალდებო დასკვნის გერმანულ ენაზე თარგმანი ბრალდებულთა ჯგუფისათვის — გერმანელებისათვის, სასამართლო იწყებს ბრალდებულთა დაკითხვას.

ყველა ბრალდებული — **რაინჰარდ რიცლავი**, ვილჰელმ ლანგჰელდი, ჰანს რიცი და ბულანოვი სავსებით სცნობენ თავს დამნაშავეებად მათთვის წაყენებულ ბრალდებებში.

ამის შემდეგ იწყება ბრალდებულ ვილჰელმ ლანგჰელდის დაკითხვა.

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

საკავშირო პროფსახბჭომ და საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა, განიხილეს ნა საავიაციო მრეწველობის მუშაკთა სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1943 წლის ნოემბრის შედეგები, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად სცნეს და მესამე პრემია მისცეს 13 ქარხანას, სადაც დირექტორად არის ამხ. სალაძე, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგად ამხ. ბირკოვი და საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. სტატნიკოვი.

საკავშირო პროფსახბჭომ და შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატმა 1943 წლის ნოემბერში სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის მესამე პრემია მისცეს ჭიათურის მარგანეცის ტრესტს (ტრესტის მმართველი ამხ. ანდღულაძე, საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. სხილაძე).

დღეგეზეგი

ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო საბჭოს სხდომა

ლონდონი, 16 დეკემბერი (საკდესი). გუშინ შესდგა ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო საბჭოს საზეიმო სხდომა, მიძღვნილი საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულების დადებისადმი. თავის შესავალ სიტყვაში სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ პროკოპ მაქსმ ხაზგასმით აღნიშნა ხელშეკრულების უდიდესი მნიშვნელობა არა მარტო ჩეხოსლოვაკიისათვის, არამედ მთელი ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპისთვის. „ამ ხელშეკრულების დადებით — თქვა ბატონმა — შეგასრულეთ ჩეხოსლოვაკიის ხალხის ნებასურვილი“.

ვრცელ მოხსენებაში საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელმა გუბერტ რიპკამ მოიყვანა ხელშეკრულების ისტორია და აღნიშნა, რომ იგი მიმართულია მთელი ევროპის კეთილდღეობისაკენ.

იდენის განცხადება თემთა პალატაში საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულების შესახებ

ლონდონი, 15 დეკემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, უპასუხებდა რა თემთა პალატაში მი